მიღებული შედეგები მეტყველებს ჰომეოსტაზის მკვეთრ დარღვევაზე პირველადი კარდიომიოპათიით შეპყრობილ ავადმყოფებში. განსაკუთრებით რელიეფური აღმოჩნდა ჰორმონალური სპექტრის ცვლილებები. იგი რენინ-აღდოსტერონის სისტემის მკაფიო აქტივობით გამოიხატა. რენინის აქტივობის და აღდოსტერონის კონცენტრაციის მომატება კანონზომიერი იყო ყველა ავადმყოფისათვის; არსებითად გამოვლინდა ამ სისტემის ცვალებადობის ის ვარიანტი, რომელიც „მაღალი რენინის“ და „მაღალი აღდოსტერონის“ სახელწოდებით არის ცნობილი. აღინიშნა წინასწორობის დარღვევა ციკლური

ნუკლეოტიდების და პროსტაგლანდინების სისტემაში. პრესორული ფრაქციის  $F_{2a}$  პროსტაგლანდინების მომატების პარალელურად მატულობდა დეპრესორული E სერიის პროსტაგლანდინები. ციკლური ნუკლეოტიდების სისტემაში აღინიშნა ისეთივე ცვლილებები, რაც სხვა გენეზის გულის უკმარისობის დროს. იგი გამოიხატა cAMP შემცირების და cGMP-ის მომატების სახით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

(შემოვიდა 7.6.1990)

ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МЕДИЦИНА

М. П. КИКНАДЗЕ

МЕТАБОЛИЧЕСКИЕ И ГОРМОНАЛЬНЫЕ НАРУШЕНИЯ ПРИ ХРОНИЧЕСКОЙ СЕРДЕЧНОЙ НЕДОСТАТОЧНОСТИ, РАЗВИВШЕЙСЯ НА ФОНЕ ПЕРВИЧНОЙ КАРДИОМИОПАТИИ

Резюме

Изучено состояние системы ренин-ангиотензин-альдостерон, содержание ПГ и циклических нуклеотидов в плазме крови у больных ХСН на фоне первичной кардиомиопатии. Выявлены существенные нарушения в указанных системах, в частности, нарушение гомеостаза системы ренин-ангиотензин-альдостерон по типу «высокий ренин» — «высокий альдостерон»; повышение ПГЕ и МГЕ<sub>2a</sub> в плазме крови; понижение цАМФ и повышение цГМФ в плазме.

Эти изменения следует учитывать при дифференциальном подходе к вопросам лечения данного контингента больных.

EXPERIMENTAL MEDICINE

M. P. KIKNADZE

METABOLIC AND HORMONAL DISORDERS IN PATIENTS WITH CHRONIC HEART FAILURE CAUSED BY PRIMARY CARDIOMYOPATHY

Summary

Chronical heart insufficiency caused by primary cardiomyopathy is characterized by a regular increase in the activity of the renin-aldosterone system. At the same time as intensive rise in the concentration of prostaglandins E and  $F_{2a}$ , decrease of cAMP and increase of cGMP is noted.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. И. И. Крижановская, В. П. Артава, Е. В. Попова и др. Кардиология, 1977, 9, 78—84.
2. Н. М. Мухарлямов, Н. М. Лобова, Т. Н. Александрова и др. Гормоны и заболевания сердечно-сосудистой системы. Баку, 1981, 3—11.
3. В. А. Бардиченко. Автореферат канд. дисс. Харьков, 1983.
4. Л. Т. Малая, Д. С. Полибетов, А. М. Савчук. Терапевтический архив, 1983, 1, 96—107.
5. Н. М. Мухарлямов. Кардиология, 1982, 5, 32—37.
6. А. Е. Кузьмина. Автореферат канд. дисс. М., 1972.
7. R. Ader, K. Chatterjee, T. Ports *et al.* Circulation 1980, vol. 61, 931-937.
8. Y. J. D'zau, W. S. Colucci, N. K. Hollenberg *et al.* Circulation 1981, vol. 63, 645-651.



Э. В. КВАВАДЗЕ, Ю. В. ЕФРЕМОВ

## РЕЗУЛЬТАТЫ ПАЛИНОЛОГИЧЕСКОГО ИЗУЧЕНИЯ ГОЛОЦЕНОВЫХ ОТЛОЖЕНИЙ ВЫСОКОГОРИИ ЛАГОДЕХСКОГО ЗАПОВЕДНИКА (Восточная Грузия)

(Представлено академиком Л. К. Габуния 20.4.1990)

В данном сообщении приводятся первые результаты по изучению озерных отложений в истоках р. Лагодехис-цкали. Исследуемое озеро находится в пределах Лагодехского государственного заповедника на высоте 2750 м н. у. м. и геоморфологически расположено на нижней ступени цирка бывшего ледника. Размеры озера небольшие. Оно в настоящее время почти прекратило свое существование и его котловина полностью заросла. В южной части бывшего озера с помощью шурфа вскрыта толща осадков мощностью 110 см. Основание разреза представлено гляциальными отложениями, состоящими из ледниковых суглинков желтого цвета (110—80 см). Средняя часть состоит из глин (80—40 см), верхняя — из суглинков и современной почвы. Исследуемый разрез находится в поясе верхних альп, где произрастают несколько разреженные низкотравные формации.

Палинологическим методом изучено девять образцов с различной концентрацией пылицы. Мало ее в самой нижней части разреза, на глубине 110 см, кроме того, отмечается наличие переотложенной древней пылицы, которая хорошо отличается как интенсивной окраской, так и таксономическим составом. В средней части разреза (глубина 65—40 см) количество микрофоссилий возрастает почти в 5—6 раз по сравнению с нижней. Максимальным содержанием пылицы и спор характеризуется гумусовый горизонт.

В спорово-пыльцевых спектрах на всех глубинах доминирует пыльца травянистых и споровых, а состав древесных в среднем колеблется от 5 до 35%. Очень много споровых в средней части. По особенностям пыльцевых спектров можно выделить четыре палинозоны, которые отражают определенные этапы развития растительности исследуемого района. Наиболее холодной следует считать первую палинозону с доминированием эфедры и маревых [1].

Реконструкция растительности проводилась нами на основе учета закономерностей формирования пыльцевых спектров современных доинных отложений озер, расположенных в верхнеальпийском и субнивальном поясе данного района. Главной особенностью этих спектров, как и озерных пыльцевых спектров высокогорий Кельского вулканического нагорья [2], является их сильная осредненность, увеличивающаяся с повышением гипсометрической высоты. Так, в пыльцевых спектрах озера Верхнее (Н:3050 м) отражена в основном заносная пыльца, так как локальная растительность здесь очень скудная. При этом занос пылицы происходит не только с нижележащих поясов лесной растительности, но и со всего региона — соседних степей низменных районов Алазани, Ширази, Эльдари и значительно удаленных поясов темнохвойных лесов крайнего северо-запада Восточной Грузии. Благодаря этому по пыльцевым спектрам высокогорных озерных отложений можно судить о растительности очень крупного региона. Эта особенность спектра, как нами отмечалось ранее [2], объяс-



няется не только хорошей сохранностью микрофоссилий в озерных отложениях, но и повышением скорости и продолжительности ветров, способствующих постоянному поставлению и накоплению пылицы в высокогорных озерах. Поэтому расшифровка их ископаемых спектров требует особого подхода, где, в отличие от предгорий и низин, исключается прямая интерпретация спектра по доминантам. Учитывая это обстоятельство, реконструкция растительности и ее динамика за время осадконакопления изученной нами толщи имели следующий характер.

На первом этапе развития локальная растительность из-за сурового климата была скудной, разреженной, состояла из злаков и осок. Местами, на подветренных склонах, произрастали одуванчик, валериана, лютиковые, некоторые сложноцветные. По днищам цирков и трогов встречались *Botrychium* и *Sphagnum*. Перечисленные растения произрастают ныне в перигляциальных районах Восточной Грузии. Именно в субнивальном поясе нами найдены субфоссильные спектры-аналоги. О существовании в исследуемом районе перигляциальных условий во время формирования указанного слоя осадков свидетельствует также присутствие переотложенной пылицы, являющееся результатом эрозионной деятельности ледника, выпавшего относительно мягкие юрские породы. По всей вероятности, это был каровый ледник. После таяния ложе его стало котловиной образовавшегося озера, где и отложилась пылица юрского времени. Присутствие переотложенной пылицы на первых этапах возникновения ледниковых и межледниковых озер отмечается постоянно и на равнинных территориях Европейской части [3].

Выявленное похолодание климата имело место не только в высокогорьях Лагодехи, но и в низменных частях Кахети, где ухудшение климатических условий сопровождалось сильной сухостью. Преобладание в составе заносной пылицы эфедры, маревых и полыни является прямым свидетельством увеличения площадей полупустынь в соответствующем поясе растительности. Сильная аридизация климата фиксируется по палинологическим и фаунистическим данным, а также результатами изучения зоогенных отложений пещеры гиены, расположенной на Иорском плоскогорье [4]. Большое количество пылицы эфедры, полыни и маревых наблюдается здесь в начале субатлантического времени, соответствующего юанакхирской стадии оледенения. Что же касается горных лесов Лагодехи, то их площадь была значительно сокращена: верхняя граница леса спускалась, по всей вероятности, как и в Западной Грузии, не менее чем на 700—600 м, а нижняя отступала под натиском степных и полупустынных элементов растительности.

Второй этап развития растительности в исследуемом высокогорном районе характеризуется формированием фитоценозов с более богатым травяным составом, что, несомненно, было вызвано потеплением климата, имевшим место во второй половине SA<sub>1</sub>. Возрастание роли мезофильных травянистых, а также споровых свидетельствует о существенном увеличении увлажненности. По днищам цирков и трогов бывших ледников развитие получают заросли гроздовника. В спектрах этого времени его содержание достигает 67%. Появление пылицы прибрежно-водных растений говорит о полном отступании каровых ледников с этих высот и образовании на их месте озерных водоемов. Комплекс заносной пылицы также указывает на существенное улуч-

шение климатических условий. По долине р. Лагодехис-цкали граница леса постепенно продвигалась вверх, среди широколиственных пород липа имела большее значение, чем в настоящее время. Возрастает и роль пойменных лесов из ольхи. В степных районах Кахети площадь полупустынных формаций значительно сократилась.

Третий этап развития растительности совпадает с очередным похолоданием климата SA<sub>2</sub>, имевшим место примерно 1600—1500 л. н. [5]. В формациях верхнеальпийских лугов появляются элементы субнивального пояса. Абсолютного максимума в развитии достигают заросли гроздовника (до 79%). Фиксируются споры Sphagnum. В лесах ущелья р. Лагодехис-цкали понижается участие липы и ольхи, возрастает роль сосны, которая вполне могла здесь существовать в то время. Климатические изменения отразились и на водном режиме озер. Исследуемое нами озеро понизило свой уровень и стало деградировать.

Последний, четвертый, этап в ходе развития растительности характеризуется все большим продвижением высотных поясов вверх. Субнивальные элементы исчезают, и на их месте поселяются формации альпийских лугов, среди которых доминируют сложноцветные и злаки. В высокогорных лесах преобладающей породой становятся бук, липа и граб. Затем процесс поднятия вертикальных поясов был приостановлен волной похолодания «малога ледникового периода», о чем говорит возрастание содержания пыльцы ели, вяза, а также некоторых холодолюбивых травянистых в спектрах на уровне глубины 10—15 см. К сожалению, отсутствие более подробного (сантиметрового) отбора образцов не дало возможности установить все этапы похолодания, зафиксирован лишь один из них.

Таким образом, палинологические, литологические и геоморфологические данные позволяют заключить, что исследуемое нами озеро является ледниковым. Оно образовалось в результате потепления и таяния карового ледника в начале среднесубатлантического времени и наибольшей глубины, по всей вероятности, достигло перед резким похолоданием второй половины SA<sub>2</sub>, имевшим место 1600—1500 л. н.

Академия наук Грузинской ССР  
Институт палеобиологии  
им. Л. Ш. Давиташвили

Краснодарский государственный  
университет

(Поступило 27.4.1990)

პალეობიოლოგია

მ. შავაშვი, ი. მჭედომიძე

ლაგოდეხის ნაკრძალის მაღალმთიანეთის ჰოლოცენური ნალექების  
პალინოლოგიური შესწავლის შედეგები

რეზიუმე

პალინოლოგიური მეთოდით შესწავლილია ზ. დ. 2750 მ სიმაღლეზე მდებარე ტბიური ნალექების წყება. დადგენილია, რომ ტბა წარმოიშვა იუანახჩირის გამყინვარების შემდეგ, სუბატლანტიკური პერიოდის პირველ ნახევარში.

E. V. KVAVADZE, Yu. V. EFREMOV

 THE RESULTS OF PALYNOLOGICAL STUDIES OF THE HOLOCENE  
 DEPOSITS IN THE HIGHLANDS OF THE LAGODEKHI  
 RESERVATION (EASTERN GEORGIA)

## Summary

Limno-glacial deposits 110 cm in thickness in the upper alpine belt have been investigated. It is established that during the Yuanakhchiri period of glaciation in the region under study a glacial cirque was situated at an altitude of 2750m a. s. l. After the glacier retreated, a lake was formed in its bed which existed till the second noticeable cooling in the second half of SA<sub>2</sub> (1600-1500 years ago).

## საზოგადოება — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. К. К. Марков, Г. И. Лазуков, В. А. Николаев. Четвертичный период, т. I. М., 1965.
2. Э. В. Квавадзе, Ю. В. Ефремов. Результаты палинологического и геоморфологического изучения озер Кельского вулканического нагорья (Восточная Грузия). Препр. Тбилиси, 1990, 1—12.
3. О. П. Кондратенко. Тез. докл. VIII Всесоюз. симп. по истории озер. Минск, 1989, 73—74.
4. А. К. Векуа, Ц. Д. Габелая, Э. В. Квавадзе, В. М. Чхиквадзе. Спелеол. сб., т. 2. Тбилиси, 1980, 110—119.
5. Э. В. Квавадзе, Л. П. Рухадзе. Растительность и климат голоцена Абхазии. Тбилиси, 1989.



1. ჩიზოგია

უცნობი სიტყვის მნიშვნელობის ფვლომა ვერბალური კონტაქტის საფუძველზე

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შ. ნადირაშვილმა 10.09.1990)

ადამიანი ლექსიკის უდიდეს ნაწილს ეუფლება, ვერბალური კონტაქტის საშუალებით. კონტაქტის საფუძველზე ხდება წინადადებაში წარმოდგენილი უცნობი სიტყვის მნიშვნელობის წვდომა, მისი ფორმირება. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ სიტყვა მნიშვნელობას ვერბალურ კონტაქტში იძენს და რომ სიტყვა ლინგვისტური კონტაქტის გარეშე აშკარა ფანტაზიის ნაყოფია და თავისთავად არაფერს წარმოადგენს. მაგრამ კონტაქტის როლის, მკვლევართა მიერ წინადადებაში წარმოდგენილი უცნობი სიტყვის მნიშვნელობის ფორმირების ერთადერთ ფაქტორად მიჩნევით, ფაქტობრივად უარყოფილია უცნობი სიტყვის ბგერითი მხარის როლი მისი მნიშვნელობის ფორმირებაში. მრავალრიცხოვანი ენობრივი და ექსპერიმენტული გამოკვლევები მიუთითებენ, რომ სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის ურთიერთდაკავშირება არ ატარებს შემთხვევით ხასიათს და რომ ნებისმიერი მნიშვნელობის აღსანიშნავად ნებისმიერი ბგერათა კომპლექსი არ გამოადგება. მკვლევართა უმრავლესობა კვლევისას აქცენტს აკეთებს ან ერთ, ან მეორე ერთეულზე, იმის მიხედვით, თუ რომლის პრიორიტეტს აღიარებს.

ჩვენ კონტაქტს განვიხილავთ სემანტურ დონეზე და ვიხილავთ როგორც ვერბალიზებულ ექსტრალინგვისტურ გამოცდილებას, რომელიც აყალიბებს აზრით კონტაქტს და ვთვლით რომ სწორედ აზრით კონტაქტი იწვევს სიტყვის სემანტიკური ველის გადასტრუქტურებას, მაგრამ ვიღებთ რა იმ დებულებას, რომ სიტყვის ბგერითი მხარეს არ წარმოადგენს სიტყვის მნიშვნელობასთან მექანიკურად დაკავშირებულ ნაწილს, მიგვაჩნია რომ იგი გარკვეულ შემოქმედებას ახდენს სიტყვის მნიშვნელობაზე და გარკვეული ცვლილებები შეაქვს მასში. სიტყვის მნიშვნელობა არის აზრით კონტაქტისა და სარგალიზაციო სიტყვის ბგერითი მხარის ურთიერთქმედების პროცესის შედეგი.

წინამდებარე გამოკვლევის მიზანი იყო სიტყვის ბგერითი მხარისა და აზრით კონტაქტის ურთიერთქმედების პროცესის და მნიშვნელობის ფორმირების მექანიზმის შესწავლა, იმის დადგენა თუ რაოდენია ცალკე კონტაქტისა და ცალკე სიტყვის ბგერითი მხარის ხვედრითი წილი სიტყვის მნიშვნელობის ფორმირებაში, რასაც გარკვეული სინათლე უნდა შეეტანა არსებულ ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიებში.

ამ საკითხის საკვლევად მივმართე ჩ. ოსულის სემანტიკურა დიფერენციალის (სდ) მეთოდს.

ბანტუსა და ზულუს ენებიდან ავიღეთ ზუთი უცხო სიტყვა — ქირუნდი, ნიგოტა, შერელაბუ, ოვიერე, ჩაქანაქა — და შესაბამისად ზუთი მიკროკონტაქტი. მიკროკონტაქტს ჩვენ ვუწოდებთ წინადადებას, რომელშიც გამოტოვებული იყო თითო სიტყვა და მის ნაცვლად მრავალწერტილი იყო წარმოდგენილი.



თითოეული სიტყვა მონაცვლეობით ჩავსვით ხუთივე კონტექსტში. სდ-თი ფასდებოდა თითოეული უცნობი სიტყვა აღებული იზოლირებულად, ფასდებოდა თითოეულ წინადადებაში გამოტოვებული სიტყვა, რომელიც წერტილების რიგით იყო აღნიშნული და ყოველი უცნობი სიტყვა, წარმოდგენილი აღნიშნულ კონტექსტებში.

მასალის სტატისტიკურად დამუშავების შედეგად გამოიყო ყოველი სიტყვის და კონტექსტის საერთო საშუალოები, ანუ დადგინდა მათი ადგილი შეიღბალიან სკალაზე. მათ შორის განსხვავებათა სანდობის დასადგენად გამოყენებულია სტიუდენტის  $t$  კრიტერიუმი.

პირველ რიგში გვინდა განვიხილოთ იზოლირებულად მიწოდებული უცხო სიტყვები ანუ უცნობი ბგერათა კომპლექსები.

აღმოჩნდა, რომ ძირითადად შეფასებები განაწილდნენ ნეიტრალური სკალის მახლობლად და როდესაც ვილაპარაკებთ დადებით ან უარყოფით შეფასებაზე, ვიგულისხმებთ ნეიტრალურზე ოდნავ უარყოფითს და ნეიტრალურზე ცოტა მეტად დადებითს.

უცნობი ბგერათა კომპლექსები შემდეგნაირად ნაწილდება შეიღბალიან სკალაზე:

ჩაქანაქა — 3,8, ქირუნდი — 3,9, ნიგოტა — 4,1, შერელაბუ — 4,2, ოვიერე — 4,5.

გამოიყო ორი უარყოფითი და სამი დადებითი განცდის გამომწვევი ბგერათა კომპლექსი.

როგორც ვხედავთ, ბგერათა სხვადასხვა კომპლექსები სხვადასხვაგვარად განიცდება. განსხვავდება როგორც მათი ზემოქმედების ხასიათი, ისე მათი ზემოქმედების ზარისხიცი. რადგანაც ცდისპირებისათვის უცნობია ამ სიტყვების მნიშვნელობა, ცხადია, რომ მათი განცდის რაგვარობა მათი ბგერითი შემადგენლობით უნდა იყოს განსაზღვრული.

იმისათვის, რომ უფრო ზუსტი ინფორმაცია მიგველო, თითოეული სიტყვა განხილულ იქნა თითოეული ზედსართავის წყვილის მიხედვით.

აღმოჩნდა, რომ თითოეული ბგერათა კომპლექსი სხვადასხვა პარამეტრით ხასიათდება და სხვადასხვაგვარია ამ პარამეტრების განაწილება. ხუთივე ბგერათა კომპლექსის განსხვავებული აღქმა და მათი შიდა სტრუქტურის განსხვავებული ორგანიზაცია მიუთითებს იმაზე, რომ ცდისპირებისათვის სულერთი არ არის რომელი ბგერათა კომპლექსი რომელი შინაარსის სახელად გადაიქცევა.

უსიტყვოდ წინადადებები ანუ აზრითი კონტექსტები შემდეგნაირადაა შეფასებული. საშუალო შეფასების მიხედვით აღმოჩნდა, რომ ოთხი მათგანი დადებითად შეფასდა, ერთი კი უარყოფითად. აზრითი კონტექსტებიც, ისევე როგორც ბგერათა კომპლექსები ერთმანეთისაგან განსხვავდება შიდა სტრუქტურის ორგანიზაციით.

აზრით კონტექსტში უცნობი ბგერათა კომპლექსის ჩასმის შემდეგ აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა შემთხვევაში მიღებული შედეგი განსხვავდება მისი შემადგენელი ორი კომპონენტის იზოლირებული მონაცემებისაგან.

აღმოჩნდა, რომ ყველაზე დადებითად შეფასებული ბგერათა კომპლექსი „ოვიერე“ დადებით ფონზე უფრო დადებითი ხდება, ასიმილირდება უარყოფითი და ნეიტრალური ფონდებით. ბგერათა კომპლექსი „შერელაბუ“, რომელიც შეფასებულია 4,2-ით, ასიმილირდება მასზე უფრო დადებითი და უარყოფითი ფონის მიერ; ნეიტრალური ფონი ისეთი ძალით იასიმილირებს მას, რომ თავისზე უფრო შორსაც მიჰყავს, რასაც შეიძლება პირობითად ზეასიმილაციის შემთხვევა ვუწოდოთ. „ნიგოტა“, რომელიც ნეიტრალურ აღქმას უახლოვ-

დება, ასიმილირდება დადებითი და უარყოფითი ფონების მიერ და მსგავს ანუ ნეიტრალურ ფონთან ურთიერთქმედებისას უფრო უარყოფითი ხდება. უარყოფითი ბგერათა კომპლექსი „ჭირუნდი“ უცვლელი რჩება დადებით ფონზე, ასიმილირდება ნეიტრალურით და კონტრასტულ შედეგს გვაძლევს უარყოფით ფონზე ურთიერთქმედებისას. უარყოფითი ბგერათა კომპლექსი „ჩაქანაქა“, ასიმილირდება დადებითი ფონის მიერ, უცვლელი რჩება ნეიტრალურ ფონზე, უარყოფით ფონზე კი ძლიერდება უარყოფითობის განცდა.

სკალური მონაცემების განხილვა ადასტურებს ზოგიერთ ზოგად მონაცემს და შემდეგი კონკრეტული ვარაუდისა და ზოგადი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს.

ორი ერთნაირი ინტენსივობის მქონე ელემენტების ურთიერთქმედებისას დადებითობის განცდა აღიერდება.

ნეიტრალური და უარყოფითი ფონი ყველა შემთხვევაში მეტ-ნაკლები ინტენსივობით იზიდავს დადებით სიტყვას.

ორი ნეიტრალური ერთეულის შეერთებით მივიღეთ უარყოფითი ეფექტი (როცა განსხვავება იყო 0).

ორი უარყოფითი ელემენტის შეერთებით ერთ შემთხვევაში მივიღეთ კონტრასტი; მეორე შემთხვევაში კი უარყოფითობა გაძლიერდა (მაშინ როცა განსხვავება უმნიშვნელოა).

დადებითი სიტყვა ყველა შემთხვევაში შეიცვალა, მაშინ როცა უარყოფითი სიტყვა ერთ შემთხვევაში იგივე დარჩა ნეიტრალურ ფონზე, მეორე შემთხვევაში კი დადებით ფონზე.

უარყოფითი და ნეიტრალური ფონი ყველა შემთხვევაში ახდენენ დადებითი სიტყვის ასიმილაციას.

დადებითი ზედსართავების შეერთებით, თუკი ისინი ერთნაირი ინტენსივობისა არიან, დადებითობის განცდა მატულობს, საშუალოდ ინტენსიური დადებითი ზედსართავების ურთიერთქმედებით იცვლება ხარისხობრივი მონაცემი, ზედსართავი დადებითი რჩება, იკლებს დადებითობის განცდა.

როცა უარყოფითი და დადებითი ზედსართავები ურთიერთქმედებენ, ზედსართავი უმეტეს შემთხვევაში რჩება უარყოფითი. ეს მონაცემები საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ორი ერთნაირი ინტენსივობის მქონე დადებითი ერთეულების შეერთებით დადებითობის ეფექტი ძლიერდება (ოღონდ ერთეულები საკმაოდ ინტენსიურ განცდას უნდა იწვევენდნენ).

საშუალოდ დადებითი ერთეულების შეერთებით ცვლილება ხდება ხარისხობრივი, კლებულობს ინტენსივობა.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უარყოფითი და ნეიტრალური ფონი, ან ერთეული უფრო უარყოფითი ერთეულები, უფრო მდგრადი არიან, მეტი ზეგავლენის მოხდენის უნარი აქვთ; შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ფონი ან სიტყვა ნაკლებ პლასტიურია. ნაკლებ სენზიტიურია, წინააღმდეგობის გაწევის მეტი უნარი აქვს.

დადებითი ელემენტი კი ნაკლებ მდგრადია, უფრო პლასტიურია და სენზიტიური.

ერთგვაროვანი ელემენტების შეერთებისას ან ძლიერდება მათ მიერ გამოწვეული განცდა ან კონტრასტის მიმართულებით მიდის.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ფონისათვის ძირითადად დამახასიათებელია მასიმილირებელი მოქმედება; რასაკვირველია მეტ-ნაკლები ინტენსივობით.

როცა განსხვავება ორ ერთეულს შორის მეტია, მით უფრო მეტი ხარისხით ხდება ასიმილაცია: ვგულისხმობთ უარყოფით და ნეიტრალურ ფონებს.

იზოლირებულად მიწოდებულ სიტყვას ცდისპირები განიცდიან გარკვეულ-ლი სახლის ფუნქციის მატარებლად. ცდისპირებმა უცნობი სიტყვის მნიშვნელობა სდ-ს სკალაზე საკმაოდ დიფერენცირებულად და გამოკვეთილად წარმოადგინეს.

კონტექსტიდან უცნობი სიტყვის მნიშვნელობის ფორმირების პროცესი არის აზრითი კონტექსტისა და სიტყვის უღერადობის რთული და მრავალგვარი ხასიათის ურთიერთზემოქმედების პროცესი; ამ პროცესის მიკერძოებული განხილვა რომელიმე ერთი ელემენტის პრიორიტეტის აღიარებით არ შეიძლება; ეს არის ორი ელემენტის გამთლიანების, სინთეზის პროცესი, რომლის შედეგად მიიღება ახალი მთლიანობითი განცდის გამოწვევი ერთეული, რომელშიც იმ ერთეულის კომპონენტები სჭარბობს რომლის ზეგავლენაც უფრო მეტია. ამ გადაწყვეტი ხდება ალბათ, ამ ელემენტების თვისება.

ენა მოქმედებს საკუთარი შინაგანი პრინციპით და ამ პროცესის მოწეს-რიგებაში უნდა დავინახოთ განწყობის მოქმედების კიდევ ერთი გამოვლინება.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის საელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიდა 13.9.1990)

ПСИХОЛОГИЯ

К. З. ЧИГОГИДЗЕ

## ПОСТИЖЕНИЕ ЗНАЧЕНИЯ НЕИЗВЕСТНОГО СЛОВА ПОСРЕДСТВОМ ВЕРБАЛЬНОГО КОНТЕКСТА

Резюме

В работе рассмотрен процесс взаимодействия звуковой стороны слова и смыслового контекста и механизма формирования значения. Экспериментально исследован по отдельности удельный вес каждого компонента, контекста и слова в формировании значения.

PSYCHOLOGY

K. Z. CHIGOGIDZE

## COMPREHENSION OF THE MEANING OF AN UNKNOWN WORD ON THE BASIS OF VERBAL CONTEXT

Summary

The paper considers the process of interaction between the sound nature of the word and semantic context and the mechanism of the formation of its meaning.

The specific proportion of each individual component—the word and the meaning—is experimentally investigated.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. А. Г. Банидурашвили. Тезисы докл. на VII научной конф. психологов Закавказья, республик, Тб., 1977, 187—190.
2. Д. Н. Узнадзе. Сб. «Психические исследования». М., 1966, 5—27.
3. C. Osgood, G. Sučić, P. Tanenbaum. The Measurement of Meaning. Urbana, 1957.



შპა 556.55.003.13.

ბიოლოგია

ბ. სვანიძე (საქ. სსრ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი), ნ. ბაგალიანი,  
 ბ. ბერიტაშვილი, ნ. შანიტაშვილი

სიონის წყალსაცავის წყლის რესურსების გამოყენების  
 ეკონომიკური ეფექტურობა  
 (1989 წლის მაგალითზე)

ბოლო წლებში ჩვენს რესპუბლიკაში აქტიურად მიმდინარეობს დისკუსია არსებული წყალსაცავების როლის შესახებ სახალხო-სამეურნეო კომპლექსის სხვადასხვა დარგის ფუნქციონირებაში და ბუნებრივ გარემოზე მათი გავლენის გარშემო. გამოითქმება ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი, რის შედეგადაც მშენებარე და დაპროექტების სტადიაში მყოფი წყალსაცავების ბედი კითხვის ქვეშე დგება. საქართველოში წყალსაცავების ქსელის ოპტიმალური გეგმის შემუშავება დამოუკიდებელ და მეტად სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, რომელიც სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ერთობლივი ძალისხმევით უნდა გადაწყდეს. ამ სტატიაში ჩვენს მიზანს წარმოადგენს 1989 წ. კონკრეტულ მაგალითზე ვაჩვენოთ, თუ რამდენად ეფექტური გამოდგა ამ წლის გვალვიან პირობებში სიონის წყალსაცავის წყლის რესურსების გამოყენება გარდაბნისა და სავარჯჯოს რაიონების ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარწყავად, რომელთა საერთო ფართობი 20 ათას ჰა აღწევს, აგრეთვე ზემო სამგორის სარწყავ სისტემაში შემავალი ჰიდროენერგეტიკული კასკადის 4 ელექტროსადგურში ელექტროენერჯის გამოსაშუშავებლად.

განხილული რეგიონის 4 მეტეოსადგურზე (თიანეთი, სავარჯჯო, სამგორი და გარდაბანი) 1989 წ. მოსული ატმოსფერული ნალექების ანალიზმა გვიჩვენა, რომ იანვრიდან ოქტომბრამდე მათი თვიური ჯამები კლიმატური ნორმის ნახევარს შეადგენდა. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ივნისი, რომლის განმავლობაში ნორმაზე მეტი ნალექი მოვიდა. მაგრამ, ამან გვალვის საერთო პირობები ვერ შეცვალა, რამაც მოითხოვა მოსავლის გადასარჩენად გარდაბნისა და სავარჯჯოს რაიონების ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების ინტენსიური რწყვა. ამათ, თავის მხრივ, გამოიწვია სიონის წყალსაცავის დონის მკვეთრი დაცემა და სექტემბრისთვის მისი თითქმის მთლიანად დაცარიელება. კერძოდ, 1989 წ. აპრილიდან ოქტომბრამდე წყლის მოცულობა მასში შემცირდა 164-დან 13 მლნ კუბომეტრამდე, რის შემდეგაც ოქტომბერ-ნოემბერში კვლავ დაიწყო მისი ნელი შევსება. წყალსაცავიდან გაშვებული 151 მლნ კუბომეტრიდან ზემო სამგორის სარწყავ სისტემაში გატარებულ იქნა 23 მლნ კუბომეტრი, ხოლო ქვემო სამგორის სისტემაში — 15 მლნ კუბომეტრი. აქედან სავარჯჯოების სარწყავად გარდაბნისა და სავარჯჯოს რაიონებში მიწოდებულ იქნა შესაბამისად 9 და 7 მლნ კუბომეტრი. წყალსაცავიდან გაშვებულ დანარჩენი 113 მლნ კუბომეტრი მოხმარდა მდ. ივრის არსებობის შენარჩუნებას. ჩამონადენის ეს რაოდენობა შეადგენს 74% მდ. ივრის ჩამონადენისა პუნქტ ლელოვანთან, რომელიც სიონის წყალსაცავის სათავესთან მდებარეობს.

გარდაბნისა და სავარჯჯოს რაიონების ტერიტორიაზე საზოგადოებრივ სექტორში სარწყავი და ურწყავი სავარჯჯოების სტრუქტურა 1989 წლის მო-

მონაცემები 1989 წლის გარდაზნის და სავარჯის ჩაიხნების ტერიტორიებზე სიონის შვალსაცვის შულის რესურსების სისოდლო-  
სამშურნყო კვლტერების სარწყავად გამოყენების ეკონომიკური ეფექტურობის შესახებ

კ ვ ლ ტ ე რ ა	კვლტერის დაცე. სავარჯ. ფართ. (სა)		სავარჯი შიხავალი (ათასი ე.)		შისავლიანობა (ც/სა)		შესსავალი ფსი (მან/ე)		I შიდან შიღებ, შისავ. ორ. (მან.)	
	გარდაზ.	სავარჯ.	გარდაზ.	სავარჯ.	გარდაზ.	სავარჯ.	გარდაზ.	სავარჯ.	გარდაზ.	სავარჯ.
სარწყავი შიღები										
შარველოვანი და შარველშარკოსანი	3406	1559	78.5	26.5	29	17	17.9	17.9	412	304
კარტოფილი და შარჩეული	3163	134	414.7	4.5	130	34	27.8	27.8	3614	645
საკვები კვლტერები	1027	164	101.0	10.5	103	64	15.0	15.0	1545	953
სიბიღი	257	123	4.3	1.4	16	12	17.5	17.5	260	201
ვენები	1022	5249	25.2	232.5	25	44	57.8	57.8	1445	2543
შარველშულიანი ნარგავები	1372	365	20.2	1.4	15	4	42.5	42.5	637	149
ურწყავი შიღები										
შარველოვანი და შარველშარკოსანი	301	1587	3.8	19.1	13	13	17.9	17.9	233	229
კარტოფილი და შარჩეული	4	4	0.03	0.09	8	25	27.8	27.8	230	689
საკვები კვლტერები	103	688	5.1	2.1	50	3	17.5	17.5	896	47
არწყავის შიღად შიღებული სკვობა *										
შარველოვანი და შარველშარკოსანი					11	4			179	76
კარტოფილი და შარჩეული					122	9			3384	256
საკვები კვლტერები					54	60			679	906
სიბიღი					16	12			260	201
ვენები					25	44			1445	2543
შარველშულიანი ნარგავები					15	4			638	149

ს ა ქ ა რ თ ე ჲ ა ნ ს ტ ა ტ ი კ ა ც ე ნ ტ რ ი ს თ ვ ს

ნაცემებით მოყვანილია ცხრილში, საიდანაც ჩანს, რომ სარწყავი სავარგულების ფართობი გარდაბნის რაიონში 25-ჯერ აღემატება ურწყავისას, ხოლო სავარგულის რაიონში ეს შეფარდება შეადგენს 3,3-ს. ორივე რაიონის ტერიტორიაზე სიმინდი, ვენახი და მრავალწლიანი ნარგავები საზოგადოებრივ მეურნეობებში ურწყავ მიწებზე არ ხარობს.

რწყევით გაპირობებული მოსავლიანობის სხვაობა უფრო მშრალ გარდაბნის რაიონში გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ნალექებით უფრო მდიდარ სავარგულის რაიონში. ასე, მაგალითად, კარტოფილის და ბალჩეული კულტურების მოსავლიანობამ გარდაბნის რაიონის სარწყავ სავარგულებში 15,7-ჯერ გადააჭარბა იგივე მაჩვენებელს ურწყავ სავარგულებში, მაშინ როცა სავარგულის რაიონში ამ შეფარდებამ შეადგინა მხოლოდ 1,4.

ცხრილში მოყვანილი სხვაობების მონაცემები სხვადასხვა კულტურების მოსავლიანობასა და 1 ჰა-დან აღებული მოსავლის ფასებს შორის სარწყავ და ურწყავ სავარგულებზე და ამ სავარგულების ფართობების შესახებ გამოყენებულ იქნა რწყვის ეფექტურობის ჯამური მაჩვენებლების განსაზღვრისათვის. გარდაბნის რაიონის 10247 ჰა სარწყავი სავარგულებისთვის რწყვის საერთო ეკონომიკურმა ეფექტურობამ შეადგინა 14,4 მლნ მანეთი, ხოლო სავარგულის რაიონის 7594 ჰა სარწყავი სავარგულებისთვის 13,7 მლნ მანეთი.

თანახმაი საქენერგოს მონაცემებისა, ზემო სამგორის სისტემის ენერგეტიკულ კასკადში შემავალი 4 ჰიდროელექტროსადგურმა 1989 წელს ფაქტობრივად გამოიმუშავა 51.6 მლნ კილოვატსაათი ელექტროენერჯია (სიონქესი — 20,6; საცხენისპესი — 23,9; მარტყოფპესი — 0,4 და თეთრიხევეპესი — 6,7 მლნ კვტ სთ.), რაც საპროექტო გამოიმუშავების მხოლოდ მეოთხედს შეადგენს. ეს ფაქტი გამოწვეულია სამი ათწლეულის წინ აგებული სადგურების მანქანა-დანადგარების ფიზიკური სიძველით, რაც ხშირად იწვევს მათ გამოსვლას მწყობრიდას. თუ გამოიმუშავებული ელექტროენერჯიის მინიმალურ ეკონომიკურ ეფექტურობად მივიჩნევთ 2 კაპ. თითოეული კილოვატ-საათიდან, კასკადზე გამოიმუშავებული ელექტროენერჯიის საერთო ღირებულება 1,03 მლნ მანეთს შეადგენს. აქედან გამომდინარე, 1989 წ. სიონის წყალსაცავიდან გამოიმუშავებული წყლის რესურსების საერთო ეკონომიკურმა ეფექტურობამ მხოლოდ სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივი სექტორისა და ჰიდროენერგეტიკის გათვალისწინებით 29 მლნ მანეთს გადააჭარბა.

როგორც ცნობილია, ბოლო 10 წლის მანძილზე მდ. ივრის აუზის ზედა წელში, სიონის წყალსაცავის რაიონში ჩვენი ინსტიტუტისა და საქჰიდრომეტის გასამხედროებული სამსახურის მიერ ტარდება ექსპერიმენტული სამუშაოები ნალექთა ხელოვნური გაზრდის მიზნით წლის თბილ პერიოდში. ჩატარებული გამოკვლევების შედეგად, რომლებიც კონვექტურ ღრუბლებზე რანდომიზებულ ზემოქმედებას ითვალისწინებენ სექტორის საწინააღმდეგო რაკეტების გამოყენებით, დადგინდა იქნა 0,90—0,95 სარწმუნო ალბათობის დონეზე, რომ ნალექთა სეზონური ჯამები ზემოქმედების შედეგად შეიძლება გაიზარდოს 5—10%-ით. 1985—1989 წწ. მასალაზე დაყრდნობით მიღებულ იქნა, რომ ზემოქმედება იწვევს თითოეული კონვექციური უჯრედიდან ნალექთა საერთო რაოდენობის გაზრდას საშუალოდ 85%-ით, რაც შეესაბამება წყლის ნაბატის აბსოლუტური სიდიდე დაახლოებით 300 ათასი კუბური მეტრი.

1989 წ. 26 სამუშაო დღიდან რანდომიზაციის შედეგად ზემოქმედება იორის პოლიგონზე ჩატარებულ იქნა 14 დღის განმავლობაში, ხოლო 12 დღე დატოვებულ იქნა საკონტროლოდ. დამუშავებულ იქნა 34 კონვექციური ღრუბელი, რომელთაგან მიღებული საერთო დამატებითი ნალექი, ზემოთ მოყვანილი შედეგების გათვალისწინებით, შეიძლება შეფასებულ იქნას 10 მლნ კუბურ მეტ-

რად. თუ ჩამონადენის კოეფიციენტად მივიჩნევთ 0,5-ს, ეს მოგვცემს სიონის წყალსაცავში ზემოქმედების შედეგად ჩასული დამატებითი წყლის რაოდენობას 5 მლნ კუბური მეტრის ოდენობით, რაც წყალსაცავიდან გამოშვებული წყლის 3%-ს შეადგენს. აქედან გამომდინარეობს, რომ გვალვიან 1989 წ. ღრუბლებზე ჩატარებული აქტიური ზემოქმედების საცდელ-საწარმოო სამუშაოთა შედეგად, რაზედაც დაასალოებით 200 ათასი მანეთი იქნა დახარჯული, მიღებულ იქნა ეკონომიკური ეფექტურობა 1 მლნ მანეთის რიგისა. ამას შეესაბამება სამუშაოთა რენტაბელობა 1:5. საწარმოო მასშტაბით ზემოქმედების ჩატარებისას, როცა რანდომიზაციის გარეშე სეზონის განმავლობაში პოლიგონზე შეიძლება დამუშავდეს 100—150 ღრუბელი, ამ ღონისძიებათა ეკონომიკურმა ეფექტურობამ შეიძლება მიაღწიოს 3 მლნ მანეთს და რენტაბელობამ კი შეადგინოს 1:10.

მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ ნალექთა ხელოვნური გაზრდის სამუშაოთა ეკონომიკური ეფექტურობის შესაფასებლად, არამედ მეურნეობრიობის ახალი ფორმების დანერგვისას მეზობელ ადმინისტრაციულ რაიონებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გასაუმჯობესებლად.

ამიერკავკასიის რეგიონალური სამეცნიერო-კვლევითი  
 ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტი

(შემოვიდა 22.6.1990)

ЭКОНОМИКА

Г. Г. СВАНИДЗЕ (член-корреспондент АН ГССР), Н. А. БЕГАЛИШВИЛИ,  
 В. Ш. БЕРИТАШВИЛИ, Н. Г. ШАВИШВИЛИ

### ЭКОНОМИЧЕСКАЯ ЭФФЕКТИВНОСТЬ ИСПОЛЬЗОВАНИЯ ВОДНЫХ РЕСУРСОВ СИОНСКОГО ВОДОХРАНИЛИЩА (НА ПРИМЕРЕ 1989 г.)

Резюме

На основе сопоставления данных об урожайности различных с/х культур на поливных и богарных землях Гардабанского и Сагареджойского районов оценена экономическая эффективность использования водных ресурсов Сионского водохранилища за 1989 г. с учетом их срабатывания в каскаде 4 ГЭС. Оценена экономическая эффективность работ по искусственному увеличению осадков.

ECONOMICS

G. G. SVANIDZE, N. A. BEGALISHVILI, V. Sh. BERITASHVILI,  
 N. G. SHAVISHVILI

### ECONOMIC EFFICIENCY OF THE SIONI RESERVOIR WATER RESOURCES IN 1989

Summary

Comparing the capacities of various agricultural crops on irrigated and non-irrigated lands in the Gardabani and Sagarejo regions the economic efficiency of the Sioni reservoir water resources utilization is assessed taking into account the energy output by 4 hydroelectric stations of the cascade. The volume of supplemented water resources due to randomized experiments on precipitation enhancement is evaluated.




რ. ბერულავა, ე. შიქიალაძე

„ქება და დიდება მართულისა ენისაჲ“-დან სინჟირული ანალიზით ამოღული „მისია“

(წარმოადგინა აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა 21.6.1990)

თანამედროვე მეცნიერებათა ინტეგრაციის პროცესი, რაც ასე ინტენსიურად გრძელდება უკანასკნელი ორი-სამი ათეული წლის განმავლობაში, გაპირობებულია მათემატიკური და კიბერნეტიკული მეთოდების საბუნებისმეტყველო დარგებში გამოყენებით. უკანასკნელ წლებში კი გაძლიერდა ამ მეთოდების პუბლიცირება, კერძოდ, ლიტერატურათმცოდნეობის დარგებში გამოყენების ცდები [1, 2 და სხვ.]. მაგალითად, ცნობილ ქართველ მწერალთა (შოთა რუსთაველი, ნ. ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, სულხან-საბა ორბელიანი, ვალაქტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია) ზოგიერთი ნაწარმოების სიტყვებში შემავალ მარცვალთა „ხვედრითი წონის“ გათვალისწინებით გამოვიანგარიშეთ სიტყვათა სიგრძე (სიტყვაში შემავალ მარცვალთა საშუალო რაოდენობაზე გადაყვანილ) და წინადადებათა სიგრძე (წინადადებაში შემავალ სიტყვათა საშუალო რაოდენობა) [2]. შედეგები მოცემულია სურათზე, საიდანაც ჩანს ქართველი მწერლების „ტექსტობრივი დიაპაზონი“ (სამკუთხედებში და ოთხკუთხედებში მოქცეული კომბინაციური არეზონი). სურათზე გამოსახული პარამეტრების მიღების მეთოდი აღნიშნულ მწე-



წინადადებათა სიგრძე (წინადადებაში შემავალ სიტყვათა საშუალო რაოდენობა) სიტყვათა სიგრძე (სიტყვაში შემავალ მარცვალთა საშუალო რაოდენობა)

რალთა ზოგიერთი ნაწარმოების მიხედვით ვრცლად გვაქვს აღწერილი [2]. მეთოდის ერთ-ერთი უპირატესობა შემდეგში მდგომარეობს: „ტექსტობრივი დიაპაზონის“ დაზომვით იზრდება ალბათობა იმისა, რომ აქამდე უცნობი ავტორის ტექსტი მიეკუთვნოს ქართული მწერლობის გარკვეულ ეპოქას, საუკუნეს და შესაძლოა თვით ამა თუ იმ მწერალსაც კი. გარდა იმისა, ყოველ მკითხველს (მწერალს, პოეტს, პოლიტიკურ მოღვაწეს და სხვ.) შეუძლია კონკრეტული ნაწარმოების შესაბამისად გამოიყენოს წარმოდგენილი მეთოდი, გამოიანგარიშოს რომელიმე მწერლის ან მწერალთა ჯგუფის „ტექსტობრივი





დიაპაზონი“, გაანალიზოს კონკრეტული ტექსტების რიცხვითი მახასიათებლები. მიაკუთვნოს ავტორები ან თავისი თავი „ფიზიკოსების“ (მრავალსიტყვიერ მახასიათებლიანი ავტორები), ან „ლირიკოსების“ (მოკლე „სიგრიძის“ წინადადებების ავტორები) ამა თუ იმ ჯგუფს და სხვ. [2].

ამჯერად ყურადღება მივაქციეთ ქართული მწერლობის ერთ-ერთ შესანიშნავ ძეგლს, იოანე ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართლისა ენისაჲ“ [3]. მართალია იგი X საუკუნის ხელნაწერებშია შემონახული, მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, უფრო ძველი წარმოშობისა უნდა იყოს [4, 5].

„ქებაჲს ტექსტში ვკითხულობთ: „ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს“. ტექსტის მეცნიერული კვლევა (1 დღესაც გრძელდება [7].

მიზნად დავისახეთ „ქებაჲს“ ტექსტის კომპიუტერული დამუშავება. შედგენილ იქნა ალგორითმი და შესაბამისი პროგრამა, რომლის გამოყენებითაც ჩატარდა ტექსტის სტატისტიკური ანალიზი. დადგინდა გრაფემათა საერთო რაოდენობა (იგი ტოლია 856-ისა. ამასთან ერთად **ა** და **ი** ჩავთვალეთ ერთ ერთეულად), ცალკეულ გრაფემათა სიხშირე და მათი ფართობითი სიხშირე, რომელიც გამოითვლება სიხშირის ფარდობით საერთო რაოდენობასთან. ფარდობით სიხშირეს ხან პროცენტებითაც გამოისახვენ.

მიღებული შედეგები შეტანილია ცხრილში.

ცხრილი 1

გრაფემა	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ
სიხშირე	1	2	2	3	4	4	4
ფარდ. სიხშ.	0,0011	0,0023	0,0023	0,0035	0,0046	0,0046	0,0046
გრაფემა	ი	კ	ლ	მ	ნ	ო	პ
სიხშირე	5	5	6	10	10	11	13
ფარდ. სიხშ.	0,0058	0,0058	0,0070	0,0116	0,0116	0,0128	0,0151
გრაფემა	რ	ს	ტ	თ	ც	ძ	წ
სიხშირე	17	18	26	31	33	39	42
ფარდ. სიხშ.	0,0198	0,0210	0,0303	0,0362	0,0385	0,0455	0,0490
გრაფემა	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ჯ
სიხშირე	42	51	52	78	82	98	167
ფარდ. სიხშ.	0,0490	0,0595	0,0607	0,0911	0,0957	0,1144	0,1950

თუ დავაკვირდებით გრაფემათა სიხშირის ზრდის მიხედვით დალაგებულ ცხრილს, შევამჩნევთ, რომ ბოლო ხუთი გრაფემის კომბინაციაში იკითხება სიტყვა „მესია“.

(1 რ. პატარიძემ „ქებაჲს“ ტექსტში მოცემულ „წილ“-ის ტექსტური სისტემური ანალიზის საფუძველზე დაასკენა, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია შვის უძრავი კალენდრული სისტემა და არა მოვარისა, როგორც აქამდე ვარაუდობდნენ.



ეს მოვლენა კი იწვევს გარკვეულ ინტერესს. ამიტომ ყურადღების მიქცევად ვერ დაეტოვებთ იოანე ზოსიმეს მეტად საგულისხმო გამოჩენილებს. „და ეს ენაა.

შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა, მდაბალი და დაწუნებული — მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა“.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, გრაფემათა სიხშირის ზრდის მიხედვით ზემოთ დალაგებული თანმიმდევრობის ბოლო გრაფემათა კომბინაცია, რომელიც იძლევა საკრალურ სიტყვას „მესია“ („მესია“ — ქრისტე, იუდაიზმსა და ქრისტიანობაში ძე ღვთისა, მხსნელი, რომელიც გამოგზავნილია უფლის მიერ ქვეყნად ბოროტების აღმოსაფხვრელად“ [8]) ეგების შემთხვევით არ იყოს და გამოხატავდეს ავტორი ჩანაფიქრს... ამ ჰიპოთეტურ კითხვას ვსვამთ მოკრძალებით, მხოლოდ და მხოლოდ საკითხის დასმის წესით.

„სიტყვა სულის სახეა, რომლითაც აზრი იმოსება“, უთქვამს პ. კაკაბაძეს ტრაგედია „ვახტანგ გორგასალზე“ მუშაობისას (მ. კაკაბაძის მოვლენები). „ქებაჲ“-ს ტექსტის ანალიზიდან სიტყვა „მესია“ შესაძლოა, შემთხვევით არ ამოსულა. საგულისხმოა, რომ ქდერადი ქართული სიტყვები მეტწილად ხმოვანთაგან მიიღება. „ქებაჲ“-ში ასოთა გამეორების სიხშირის მიხედვით განლაგებული პირველი ცხრა ასოთაგან სამი ხმოვანი (ა, ი, ე) პირველსავე ხუთ ასოთწყობაში გვხვდება (იხ. ცხრილი 1), დანარჩენი ორი ხმოვანი (ო, უ) ასეთ „გარემოცვაშია“ წარმოდგენილი „დრლოთონეუხწყბლ“. აქ არც პირდაპირი და არც პალინდრომული წყობით არავითარი აზრობრივი სიტყვითი ერთეული არ იქმნება (ცხადია, პალინდრომული წყობით მიღებული სრულფუძიანი „აის“-ი სიტყვისა „აისი“ წარმოადგენს საინტერესო საანალიზო ერთეულს, ისევე როგორც 1 ცხრილში ბოლო სამი ასოთი შედგენილი სიტყვები „სია“ და „ია“).

ცხრილი 2

მარც. რაოდ.	1	2	3	4	5	7
სიხშირე	32	45	49	17	10	1
ფარდ. სიხშ.	0,2078	0,2922	0,3182	0,1104	0,70649	0,0065

ტექსტის კომპიუტერზე დამუშავებით დადგინდა, რომ იგი შეიცავს 154 სიტყვას. გარდა ამისა, კომპიუტერული პროგრამით გამოთვლილ იქნა ზოგი მათემატიკური მახასიათებელი. მათ შორის აღსანიშნავია სიტყვის სიგრძე.

როგორც ცნობილია, სიტყვის სიგრძე შეიძლება გაიზომოს როგორც მარცვალთა რაოდენობით, ისე გრაფემათა რაოდენობის მიხედვითაც [1,9].

მარცვალთა რაოდენობის მიხედვით ტექსტის დამუშავებით მიღებული შედეგები მოცემულია მეორე ცხრილში.

როგორც ირკვევა, ყველაზე მეტი სიხშირე და ფარდობითი სიხშირე ჰქონია სამმარცვიანი სიტყვებს (32%). ორმარცვიანებია 29%, ხოლო ერთმარცვიანები — 21%. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მთელი სიტყვების 82% მოდის ერთ-ორ- და სამმარცვიან სიტყვებზე.

სიტყვის საშუალო სიგრძე არის დაახლოებით 2,6 მარცვალი.

სხვა მათემატიკური მახასიათებლებიდან გამოთვლილია: 1) ალბათობა, 2) დისპერსია, რომელიც გვიჩვენებს შემთხვევითი სიდიდის მიმოფანტვას მისი მათემატიკური ლოდინის ანუ საშუალო მნიშვნელობის მიმართ, 3) საშუალო კვადრატული გადახრა, 4) ენტროპია ანუ განუზღვრელობის ზომა, 5) ვანაწილების საშუალო რიცხვითი მახასიათებლები — მესამე და მეოთხე რიგის საწყისი



და ცენტრალური მომენტები, რომლებიც კომპაქტური ფორმით გვიჩვენებენ უფრო არსებით თავისებურებებს, 6) ასიმეტრიისა და ექსცესის კოეფიციენტები, რომლებიც კონკრეტულად ასახავენ ემპირიული განაწილების განსხვავებას ნორმალურისაგან.

დადგინდა, რომ სიტყვის სიგრძე დაახლოებით არის 5,6 გრაფემა. ყველაზე მეტი სიხშირე ჰქონია ოთხგრაფემაიან სიტყვებს, შემდეგ კი ორიანებს და ექვსიანებს.

- ო. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ო. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის  
ინსტიტუტი

(შემოვიდა 22.6.1990)

ЯЗЫКОЗНАНИЕ

Р. Г. БЕРУЛАВА, Э. А. МИКЕЛАДЗЕ  
ВОЗВЕДЕННОЕ ИЗ ТЕКСТА И. ЗОСИМЕ (X в.)  
«КЕБАИ ДА ДИДЕБАИ КАРТУЛИСА ЕНИСАИ»  
ГРУЗИНСКОЕ СЛОВО «МЕСИА»

Резюме

Компьютерным статистическим анализом текста «Кебай да дидебай картулиса енисай» («Хвала и слава грузинского языка») установлены частота графем, относительная частота графем, средняя длина слов и другие математические характеристики.

Таблицы графем, представленных по возрастанию их частот, показывают, что из текста произведения компьютерной программой автоматически выбирается сакральное грузинское слово «МЕСИА».

Даны также аналитические параметры «текстовых диапазонов» выдающихся писателей разных эпох — Ш. Руставели, С.-С. Орбелиани, Н. Бараташвили, Важа-Пшавела, И. Чавчавадзе, А. Царетели, Г. Табидзе, К. Гамсахурдиа [2] и другие материалы.

LINGUISTICS

R. G. BERULAVA, E. A. MIKELADZE  
THE WORD "MESSIAH", RISEN FROM THE TEXT BY I. ZOSIME  
(X C.) "KEBAI DA DIDEBAI KARTULISA ENISAI"

Summary

With the help of computer statistical analysis of the text by Ioane Zosime frequency and relative frequency of graphemes, average size of the words and other mathematical characteristics of the text have been established. Analytical parameters "of textual range" of famous writers of different centuries such as Sh. Rustaveli, N. Baratashvili, Vazha Pshavela, I. Chavchavadze, A. Tsereteli, G. Tabidze, K. Gamsakhurdia and other materials are also presented [2].

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. В. Фукс. Сб. „Теория передачи сообщений“. М., 1957.
2. რ. ბერულავა. მეცნიერება და ტექნიკა, № 1, 1980.
3. ქართული მწერლობა, ტ. I. თბილისი, 1987.
4. პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბილისი, 1954, 746—753.
5. პ. ინგოროყვა. კავკასიონი, № 1—2, 1924.
6. ა. ბაქრაძე. ცისკარი, № 6. 1971.
7. რ. პატარიძე. ქართული ასომთავრული. თბილისი, 1985.
8. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6.
9. В. А. Никонов. Вопросы языкознания, № 6, 1978, 104.



ი. შორღანი

მხატვრული სინტაქსის გამომსახველობითი უნდაქლებლობანი  
(ტრუმენ კეპოტის „აუღელვებელი მკვლელობის“ მასალაზე)

(წარმოადგინა აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა 3.5.1990)

ჩვენი სტატიის ქვესათაურში ხსენებულ რომანზე ლიტერატურულმა კრიტიკამ ზოგად პლანში იმდენი დადებითი აზრი გამოთქვა, რომ ამ მხრივ რაიმეს დამატება ჩვენს წარმოდგენას რომანის მხატვრულ ღირსებაზე არსებითად არაფერს შესძენს [1—3]. ჩვენი წერილი მიზნად ისახავს ნიუანსირებული და მიუკერძოებელი ანალიზის საშუალებით მაქსიმალური სიზუსტითა და ობიექტურობით წარმოვაჩინოთ ტრუმენ კეპოტის მხატვრული აზროვნების ტიპური თავისებურებანი სინტაქსის დონეზე.

„აუღელვებელი მკვლელობის“ ყველა თავი, ყველა პარაგრაფი ერთი მხატვრული ძალით არაა დაწერილი. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ამ მხრივ ის პასაჟები, რომლებიც მთავარ გმირთა სულიერი სამყაროს, ფსიქიკის, მორალისა და იდეოლოგიის აღწერას ეთმობა. სწორედ აქ ჩანს მწერლის მხატვრული აზროვნების არსებითი, შინაგანი, ტიპური ბუნება საუკეთესოდ.

რომანის ორ პარაგრაფში, რომლებიც სულ ექვსიოდე გვერდზეა წარმოდგენილი (127—133), მწერალი გვთავაზობს მოქმედ პირთა მხატვრული სახისა და ლოკალის საუცხოოდ ღრმა, დამაჯერებელსა და ხელშესახებ სურათს. წინასწარ ვიტყვი, რომ მხატვრული სინტაქსი, სინტაქსური მხატვრული ხერხები ამ სურათის შექმნაში სტილისტიკის თვალსაზრისით გადამწყვეტ როლს თამაშობს.

დავარქვათ პირობითად ჩვენი ანალიზის ობიექტს პირველი და მეორე პარაგრაფები. პირველი პარაგრაფი, რომელიც 127—129 გვერდებზე გრძელდება და დიკის, მკვლელისა და მანიაკის შინაგან განწყობილებას გადმოგვცემს მისი მეგობრის პერის მიმართ, დასაწყისშივე შეიცავს ორიგინალურად ნახმარ ელიფსურ წინადადებებს:

„მთები. თეთრ ცაში მოღვივებულ ქორები. თეთრსა და მტვრიან სოფელზე გამავალი მტვრიანი დაკლავნილი შარავზა“.

ეს ელიფსური წინადადებები განსაკუთრებული ექსპრესიითაა დამუხტული, რამეთუ ავტორის სიტყვის გარემოცვაშია მოქცეული, მაგრამ ტექსტის შინაგანი ლოგიკის მიხედვით დიკის მიერ დურბინდით დანახულსა და, ამგვარად, მისივე გონებაში აღბეჭდილ სურათს გვთავაზობენ. საინტერესოა ამ მხრივ ავტორის სიტყვიდან დიკის ცნობიერებაზე გადასვლისა და დიკის ცნობიერებიდან ავტორის სიტყვაზე გადასვლის მომენტები:

„მანქანა იმ კონცხზე გააჩერეს, სადაც პიკნიკის მოწყობა გადაწყვიტეს. დიკმა დურბინდით შეათვალიერა არემარე. მთები. თეთრ ცაში მოღვივებულ ქორები. თეთრსა და მტვრიან სოფელზე გამავალი მტვრიანი დაკლავნილი შარავზა. მეორე დღე იყო რაც მექსიკაში იყვნენ და აქამდე ყველაფერი მოსწონდა, — საქმელიც კი (სწორედ ამ დროს იგი ცივსა და ქონიან სიმინდის კერს ღეჭავდა“).

ამის შემდეგ ყურადღებას იპყრობს მეორე მთავარი გმირის — პერის პირდაპირი სიტყვა დიკის მიმართ: „იცი რას ვფიქრობ“, თქვა პერიმ. „ვფიქრობ რაღაც უნდა გვქირდეს. ჩვენ რაც გავაკეთეთ“. მოკლე დიალოგს ისევ მოჰყვება მოკლე ავტორისეული სიტყვა, რომელიც შეუფერხებლად გადადის პერის მიერ დაყენებით გამოთქმულ აკვიატებულ აზრზე: „რაღაც უნდა სჭირდეს იმას, ვინც ამგვარ რამეს ჩაიდენს“, თქვა პერიმ.

„მე გამომრიცხე“, თქვა დიკმა, „მე ნორმალური ვარ“.

დიალოგს ისევ ავტორის სიტყვა განაგრძობს, რომელშიც გადმოიცემა, დიკის აზრი პერიზე და რამდენიმე ფსიქოლოგიურად არსებითი დეტალი პერის ცხოვრებიდან. ავტორის სიტყვა ნახევარ გვერდზე მეტს მოიცავს. ეს, ისევ, აკვიატებული აზრი ჩადენილი მკვლელობის მასშტაბის, გაუმართლებლობისა და წარმოუდგენლობის შესახებ:

„სადღაც“, განაგრძო პერიმ, „სულის სიღრმეში არასოდეს მეგონა ამის გაკეთებას შევძლებდი“.

„ზანგზე რას იტყვი?“ თქვა დიკმა. დუმილი.

